

ცირკულარული სუნთქვის ცნებისათვის (ფლეიტაზე შემსრულებლობის მაგალითზე)

ირაკლი ყაველაშვილი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია, გრიბოედოვის 8, 0108, თბილისი
დოქტორანტი (სპეციალობა ფლეიტა)

ხელმძღვანელი: ნანა ლორია (მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

ანოტაცია:

XX საუკუნეში ჩასაბერი საკრავების ტემბრულ-გამომსახველი საშუალებების გამდიდრებას ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენება მოჰყვა. ფლეიტისტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ცირკულარულმა (პერმანენტულმა) სუნთქვამ, რომელიც უწყვეტი ბგერის ხანგრძლივად აჟღერების საშუალებას იძლევა. საქართველოში სუნთქვის ამ ტიპს საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნია, მაგრამ პროფესიულ საშემსრულებლო ხელოვნებაში იგი ახლა იკიდებს ფეხს.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს არსებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ცირკულარული სუნთქვის საკუთარი, თუმცა არც თუ ისეთი დიდი გამოცდილების გაზიარების მოკრძალებულ ცდას. ამ ტიპის სუნთქვის ტექნიკა რამდენიმე საფეხურის გადალახვას მოითხოვს (ტუჩების მოშვებული აპარატით ამბუშურში ჰაერის მიწოდებას, ლოყების არეში ჰაერის რეზერვის დაგროვებას, ენის ბიძგისა და ლოყების კუნთების შეკუმშვის მეშვეობით ჰაერის გამოშვება-გამონთავისუფლებას და ამავდროულად ცხვირით ჰაერის მოკლე და ჩქარ შესუნთქვას). შემსრულებლის მიერ გასათვალისწინებელია ტუჩების სპეციფიკური პოზიცია ამბუშურის მიმართ, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ნიკაპის მდებარეობა და ჰაერის ნაკადის წნევის შეცვლა.

სწავლების საწყის ეტაპზე ვთავაზობთ ცირკულარული სუნთქვის სამი ტიპის გამოყოფას (ცირკულარული სუნთქვა ლოყების მაქსიმალური საშუალო და მინიმალური გამობერვით) და თითოეული მათგანის თანმიმდევრულ დაუფლებაზე მიმართულ სავარჯიშოებს.

საკვანძო სიტყვები: ფლეიტაზე შემსრულებლობა და ცირკულარული სუნთქვა

XX საუკუნეში ჩასაბერი საკრავების ტემბრულ-გამომსახველი საშუალებების გამდიდრებას ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენება მოჰყვა. შემსრულებლების, მათ შორის, ფლეიტისტების განსაკუთრებული ინტერესი ე.წ. ცირკულარულმა (პერმანენტულმა) სუნთქვამ გამოიწვია. იგი უწყვეტი ბგერის ხანგრძლივად აჟღერების საშუალებას იძლეოდა, ვინაიდან ცხვირის მეშვეობით ჰაერის დამატებითი შესუნთქვა ხორციელდება.

ხალხურ შემსრულებლობაში ცირკულარულ სუნთქვას საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნია. ასე მაგალითად, სუნთქვის ამ ტექნიკის გარეშე შეუძლებელია დაკვრა ავსტრალიურ ჯიჯერიდუზე¹, ბულგარულ ფლეიტაზე (კავალი²), ინდურ ფლეიტაზე³,

¹ <http://www.youtube.com/watch?v=UmS7RlclAqU>

² <http://www.youtube.com/watch?v=fF6tAMz4EH0&feature=related>

იაპონურ ფლეიტაზე (შაკუჰაჩი⁴) და ა.შ. ცირკულარული სუნთქვა კარგად არის ცნობილი კავკასიის რეგიონშიც (მედულუკეების ხელოვნება სასომხეთში და საქართველოში⁵).

რაც შეეხება პროფესიულ სამემსრულებლო ხელოვნებას, აქ ცირკულარული სუნთქვის ტექნიკა XX საუკუნიდან იკიდებს ფეხს. შესანიშნავად იყენებს სუნთქვის ამ ტიპს ამერიკელი საქსაფონისტო კენი ჯი თავის კომპოზიციებში - „ჩიტის სიმღერა“ („Songbird“) და ცნობილი „Havana“⁶. სწრაფი ოსტინატური პასაჟების, ტრელის, გაბმული ბგერებისა და დიდი ფრაზების შესრულებისას, ლოყების უმნიშვნელო გამობერვითა და ჰაერის ცხვირიდან ჩასუნთქვით იგი საოცრად შთამბეჭდავ ეფექტს აღწევს. ვახსენოთ მექსიკელი მესაყვირე რაფაელ მენდესი⁷ და მისი მეთოდური ხასიათის რჩევები⁸, აგრეთვე რუსი ვირტუოზი-მესაყვირე სერგეი ნაკარიაკოვი⁹. ცირკულარული სუნთქვის მეშვეობით იგი პაგანინის „Moto Perpetuo“-ს თავიდან ბოლომდე სტაკატოზე ასრულებს¹⁰. იგივე ნაწარმოებს სრულიად სხვა ინტერპრეტაციით ლეგატოზე ასრულებს მექსიკელი მესაყვირე უინტონ მარსალისი, რომელიც სრულიად განსხვავებული ბგერითი მხატვრული სახის შექმნისას აგრეთვე ცირკულარულ სუნთქვას იყენებს¹¹. აღნიშნულ სამემსრულებლო ტექნიკის კარგ ფლობაზე მიგვანიშნებს ბრაზილიელი კლარნეტისტი ფლავიო ჩელკევიჩუსის სამემსრულებლო ხელოვნება¹². განსაკუთრებით გამოვყოფთ თანამედროვეობის გამოჩენილი ფრანგი ჰობოისტის ფრანსუა ლელიუს^{13,14}, რომელიც ცირკულარული სუნთქვის მხატვრულ შესაძლებლობებს საოცრი მრავალფეროვნებით იყენებს.

სხვა ჩასაბერი საკრავებისაგან განსხვავებით, ბიომის კონსტრუქციის ფლეიტაზე ცირკულარული სუნთქვის ტექნიკის გამოყენებით დაკვრა საკმაოდ რთულია. ამბუშურის სუსტი წინაღობის გამო იხარჯება ჰაერის დიდი ნაწილი. ცირკულარული სუნთქვა შედარებით ადვილად არის მისაღწევი იმ საკრავზე, რომლის ამბუშური ჰაერის მარაგის უფრო ეკონომიური ხარჯვის საშუალებას იძლევა (მაგალითად ჰობოი)¹⁵. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამემსრულებლო პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ ფლეიტისტიებიც ინტენსიურად ცდილობენ ცირკულარული სუნთქვის დაუფლებას. ამის საუკეთესო მაგალითია რობერტ დიკის სამემსრულებლო ხელოვნება (მაგალითად, მის მიერ შესრულებული საკუთარი კომპოზიცია „Flames Must not Encircle Sides“^{16,17}). ცირკულარული სუნთქვის გამოყენებით ასრულებს საკუთარ იმპროვიზაციებს

³ <http://www.youtube.com/watch?v=CsJ2y9zuK9A&feature=related>

⁴ <http://www.shakuhachi.ru/forum/showthread.php?t=653>

⁵ თბილისელი მედულუკეების ხელოვნება არა ერთი ქართველი ხელოვანის, მათ შორის ფიროსმანის, შთაგონების წყაროდ ქცეულა.

⁶ (http://www.youtube.com/watch?v=eJn-SW3xifU&feature=player_embedded#!)

⁷ (http://en.wikipedia.org/wiki/Rafael_Mendez)

⁸ (<http://www.youtube.com/watch?v=gUij8FCg0z8&feature=related>)

⁹ (http://en.wikipedia.org/wiki/Sergei_Nakariakov)

¹⁰ (<http://www.youtube.com/watch?v=QXnkAnmAOEc&feature=related>)

¹¹ (http://en.wikipedia.org/wiki/Wynton_Marsalis)

¹² (<http://www.myspace.com/flaviocelkevicius>; <http://www.youtube.com/watch?v=dE-BCJXeg4Y&feature=related>;

<http://www.myspace.com/flaviocelkevicius>)

¹³ (http://www.youtube.com/watch?v=W_UrFPjlnuM&feature=related).

¹⁴ (<http://www.youtube.com/watch?v=3sVH56JaLlg&feature=related>).

¹⁵ (<http://www.youtube.com/watch?v=0BLVLFzVF6M&feature=related>).

¹⁶ (<http://www.robertdick.net/>).

¹⁷ (<http://www.youtube.com/watch?v=lozMSHGtYsU&feature=related>).

გერმანელი კომპოზიტორი და ფლეიტისტი გიუნტერ იოჰანეს შმიტცი¹⁸, ასევე ამერიკელი მუსიკოსი რაშან როლანდ კირკი^{19, 20, 21} და ა.შ.

ფლეიტისტების დაინტერესება ცირკულარული სუნთქვით შემდეგი ფაქტორებით აიხსნება. თანამედროვე ფლეიტამ რეკონსტრუქციის შედეგად იცვალა ტემბრის ხარისხი და ხმოვანების მოცულობა. მისი ამბუშურის ჭრილის გადიდება გაზარდა ინსტრუმენტების ჟღერადობა, რასაც შემსრულებელთა ენერჯის დიდი ხარჯვა მოჰყვა. ამ გარემოებამ უბიძგა ფლეიტისტებს მიემართათ სუნთქვის ისეთი ტიპისათვის, რომელიც დაზოგავდა მათ ენერჯიას და, ამავდროულად, უარყოფითად არ იმოქმედებდა საკრავის ბგერის ხარისხზე და სიძლიერეზე. ისიც არის აღსანიშნავი, რომ დიდი საკონცერტო დარბაზების აკუსტიკამ კორექტივები არა მარტო თანამედროვე, არამედ კლასიკური რეპერტუარის შესრულებაშიც შეიტანა. ახალ პირობებში ტრადიციული საშემსრულებლო სუნთქვის გამოყენებისას საჭირო დინამიკის შენარჩუნება უადრესად რთული აღმოჩნდა.

ცირკულარული სუნთქვის სწავლება, ბევრად პედაგოგის პირად გამოცდილებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ნებისმიერი ახალი ტექნოლოგია ზუსტ შესრულებას მოითხოვს. ამიტომაც, არა ნაკლებ მნიშვნელობვანია მყარ სამეცნიერო ბაზაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდიკა. სრულყოფილი სახით იგი ჯერ-ჯერობით არსად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა არსებობს რამდენიმე მეთოდური ხასიათის ნაშრომი, რომლებშიც არა ერთ ყურადსაღებ მითითებებს ვაწყდებით. ჩვენს მიერ მოპოვებულ პუბლიკაციებში ცირკულარული სუნთქვა ძირითადად სხვადასხვა ეთნიკურ საკრავზე დაკვრის სწავლებასთან დაკავშირებით არის ნახსენები^{22, 23}. რამდენიმე პუბლიკაცია ეძღვნება ცირკულარული სუნთქვის გამოყენებას ისეთ ჩასაბერ საკრავებზე, როგორებიცაა ჰობოი²⁴, საყვირი²⁵, ტრომბონი, საქსოფონი²⁶.

შედარებით მცირეა ლიტერატურა ფლეიტასთან დაკავშირებით (როგორც ზემოდ ავლინებთ, ამ ტიპის სუნთქვის გამოყენება გაცილებით ძნელია ფლეიტაზე დაკვრის დროს). ყურადსაღებ რჩევებს ვხვდებით ზოგიერთი ფლეიტისტის საშემსრულებლო კომენტარებში. ჩვენი ყურადღება მიიქცია ვილი ოფერმანის მიერ არანჟირებული იაპონური ტრადიციული მუსიკის ნიმუშის „წეროს ბუდე“ („Tsuru-no-Sugomori“) საშემსრულებლო კომენტარებმა. მართალია აქ საუბარია იაპონური ნაციონალური ფლეიტის მსგავს თანამედროვე ფლეიტაზე, მაგრამ ავტორის მიერ შემოთავაზებული სუნთქვითი სავარჯიშოების შესრულება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბიომის კონსტრუქციის ფლეიტაზე დაკვრის დროს ცირკულარული სუნთქვის შემუშავების

¹⁸. (<http://www.myspace.com/guentherjohanneschmitz>; <http://www.myspace.com/guentherjohanneschmitz>;

<http://www.youtube.com/watch?v=4ddSSx7HsH0&feature=related>;

<http://www.esfahanmusic.de/html/musiker.html#abbas>;

<http://www.vmgo.com/yt/video/4ddSSx7HsH0/Circular-Fluting.html>;

¹⁹ http://en.wikipedia.org/wiki/Roland_Kirk

²⁰ <http://jazzradio.com.ua/dzhazmeni/roladn-kirk>;

²¹ http://www.youtube.com/watch?v=k_avUwlyW6I

²² Галина Машина (2009 г.) Осваиваем непрерывное дыхание;

http://didjeridoo.at.ua/news/b2_osvaivaem_nepneryvnoe_dykhanie/2009-10-24-3

<http://yidaki-ural.ru/?course&item=1&interface=ru>

²³ ლისენკო სტანისლავი

²⁴ ჰაერის ცირკულაციის შესახებ ჰობოიზე <http://oboe.webseason.net/circular/index.html>;

²⁵ საყვირზე შესრულებლისას “პერმანენტული სუნთქვა” (Перманентное дыхание)

<http://www.trumpetclub.ru/Pages-view-54.html>

²⁶ ასევე ტრომბონზე და საქსოფონზე შემსრულებელთა განხილვებია ფორუმზე

<http://www.forumklassika.ru/archive/index.php/t-22261.html>;

მიზნითაც (ჰაერის შესუნთქვისა და ამოსუნთქვის გრძლიობის გათანაბრება, სხვადასხვა სახის სუნთქვითი სავარჯიშოები სიარულისა და ბურთით თამაშის დროს.^{27, 28} ამის გარდა, ყურადსაღებია ე.წ. „სუნთქვითი თერაპიაში“ შემუშავებული და ვოკალისტებისათვის განკუთვნილი ზოგიერთი სუნთქვითი სავარჯიშო.^{29,30}

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკელი ფლეიტისტი, პედაგოგისა და კომპოზიტორის რობერტ დიკის ნაშრომი,^{31,32} რომელშიაც ავტორი შედარებით დეტალურად აღწერს ცირკულარული სუნთქვის მექანიზმს და ამ ტექნიკის დაუფლებაზე მიმართულ რამდენიმე სავარჯიშოს გთავაზობს. საინტერესოა, რომ იგი ასევე იყენებს ხალხურ პედაგოგიკაში შემუშავებულ ხერხებს, კერძოდ, პატარა მილის მემვობით წყალში სპეციფიკურ ჩაბერვას ცირკულარული სუნთქვის ყველა ელემენტის კოორდინაციის მიზნით. ავტორის მიერ შემოღებულია აგრეთვე შესაბამისი ნოტაცია: დაკვრის დროს ტუჩების დაბერვისა და ცხვირიდან შესუნთქვის აღმნიშველი სიმბოლოები. აქვე კლასიკური მუსიკის მასალაზე აღწერილია ცირკულარული სუნთქვის გამოყენების რამდენიმე მაგალითი. თუმცა ავტორის მიერ მოყვანილი ზოგიერთი მაგალითი დაზუსტებას მოითხოვს (მაგალითად, ძნელად წარმოსადგენია, თუ როგორ გამოიყენება ცირკულარული სუნთქვა ლუჩიანო ბერიოს „სეკვენციაში“ სოლო ფლეიტისათვის ხანგრძლივი ფრულატოს დროს³³).

საქართველოში, როგორც საშემსრულებლო, ასევე მუსიაკლურ-პედაგოგიურ პრაქტიკაში, ცირკულარული სუნთქვა ჯერ-ჯერობით არ არის დამკვიდრებული, თუმცა, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია ცნობილი ფლეიტისტის ნუგზარ კიკნაძის მიერ, რომლის წყალობით ახალგაზრდა ქართველ ფლეიტისტებს, მათ შორის, ამ სტატიის ავტორს, საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ აღნიშნული საშემსრულებლო ტექნიკის საბაზიციო ცნებებს.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს არსებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ცირკულარული სუნთქვის საკუთარი, თუმცა არც თუ ისეთი დიდი გამოცდილების გაზიარების მოკრძალებულ ცდას.

უპირველესყოვლისა ავღნიშნოთ, რომ ცირკულარული სუნთქვის ტექნიკა რამდენიმე საფეხურის გადალახვას მოითხოვს. ასე, ტუჩების მოშვებული, თავისუფალი აპარატით ხდება ამბუშურში ჰაერის მიწოდება. შემდეგ ლოყების არეში გროვდება ჰაერის რეზერვი, რასაც ენის ბიძგისა და ლოყების კუნთების შეკუმშვის მემვობით ჰაერის გამოშვება-გამონთავისუფლება მოჰყვება. ამის პარალელურად კი, ცხვირით ჰაერის მოკლე და ჩქარი შესუნთქვა ხორციელდება. პერმანენტული სუნთქვა გულისხმობს ტუჩების სპეციფიკურ პოზიციას ამბუშურის მიმართებაში. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში იცვლება ტუჩებისა და ნიკაპის პოზიციები, აგრეთვე ჰაერის ნაკადის წნევა (მაგალითად ბგერების აღებისას მაღალ

²⁷ <http://www.wiloffermans.com/en/index.html>

²⁸ <http://www.wiloffermans.com/en/books/solo/tsuru.html>

²⁹ "Подготовительные упражнения дыхательной терапии" (часть 2)

<http://misjex.ru/dyxatelnye-uprazhneniya/63-podgotovitelnye-uprazhneniya-dyxatelnoj-terapii-chast-2.html>;

"Упражнения для формирования речевого дыхания у подростков и взрослых"

<http://www.stuttering.su/node/51>.

³⁰ Л.И. Белякова, Е.А. Дьякова. Заикание. Учебное пособие для студентов педагогических институтов по специальности "Логопедия" - М., 1998; Н.П. Вербова, О.М. Головина, В.В. Урнова. Искусство речи. М., 1977.

³¹ რობერტ დიკი (1987) Circular breathing for the flutist. New York;

³² <http://www.artistshousemusic.org/videos/circular+breathing+techniques+for+wind+players>

³³ <http://www.forumklassika.ru/archive/index.php/t-22261.html>

რეგისტრში ლოყების არეში მოთავსებული ჰაერის ნაკადი მის ზედა მონაკვეთში გადაინაცვლებს და, პირიქით, დაბალი ბგერების აჟღერებისას - ქვედა ნაწილში). ყოველივე ამის დასტურად რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. თვალსაჩინოებისათვის ცირკულარული სუნთქვის სამი ტიპი გამოვყოთ:

1. ცირკულარული სუნთქვა ლოყების მაქსიმალური გამობერვით;
2. ცირკულარული სუნთქვა ლოყების საშუალო გამობერვით;
3. ცირკულარული სუნთქვა ლოყების მინიმალური გამობერვით.

პირველი ტიპის ცირკულარული სუნთქვის გამოყენება მიზანშეწონილია ფლეიტაზე ამბუშურის გარეშე დაკვრის დროს. ამ შემთხვევაში ლოყების მთელი სივრცე ივსება ჰაერით. **ჰაინც ჰოლიგერის „ლირიკული სიმღერაში” ფლეიტის, ალტფლეიტისა ან ბასფლეიტისათვის** აღნიშნული ტიპის ცირკულარული სუნთქვის გამოყენება აუცილებელია, რადგან გლისანდირებული პასაჟი cis – g ბანის ფლეიტაზე მოხსნილი ამბუშურით იკვრება (მაგ.:#1).

ზაზა მენტეშაშვილის კონცერტში #2 ფლეიტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (II ნ.) გვხვდება მეორე ფლეიტის „შებანების” ეპიზოდი. გრძელი გაბმული ბგერა აიღება ფლეიტაზე მოხსნილი ამბუშურით. ჩაბერვა ხდება ისევე, როგორც დუდუკზე (მაგ.:#2) ამ შემთხვევაშიც ბუნებრივია პერმანენტული სუნთქვის I ტიპის გამოყენება.

კიდევ ერთი მაგალითი – ფლეიტაზე დაკვრა ამბუშურის ტუჩებით დაფარვის დროს. სწორედ ასე იკვრება ქრომატიული პასაჟები **სალვატორე სკრიარინოს პიესაში „ისმის, შორიდან მსუბუქი სიო” („All'aure in una lontananza”)** სოლო ფლეიტისათვის, რაც ხმოვანების უწყვეტ ჰაეროვან ხაზს ქმნის (მაგ.:#3).

ცირკულარული სუნთქვის II ტიპის გამოყენებით სრულიად განსხვავებული მხატვრული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელი. თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში (ვგულისხმობთ მაღალ, ან დაბალ რეგისტრებს, frull.- ოს ხერხს და ა.შ.) განსხვავებულად დაიბერება ლოყების არე (ჰაერი ლოყების ზედა, ამ ქვედა ნაწილში), სხვადასხვანაირად ტრიალდება ამბუშური, იცვლება ნიკაპისა და ტუჩების პოზიციები (მაგალითად, ნიკაპის წინ წამოწევა ხელს უწყობს ამბუშურის ჭრილში ჰაერის ნაკადის უფრო მიზანმიმართულ მოხვედრას და სხვ.)

აღნიშნული ტიპის ცირკულარული სუნთქვა შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგ ნაწარმოებებში. **ბახის პარტიტაში ფლეიტის სოლოსათვის I და II ნაწილებში (ალემანდა და კურანტა)** სახეზეა ფარული ორხმიანობა. ეს ეფექტი იქმნება tenuto-ს ხერხის გამო. მოკლე და ხშირ-ხშირი ჩასუნთქვები ცხვირით უწყვეტი მღერადი ხმოვანების მიღწევას უწყობენ ხელს.

ანალოგიური მაგალითია **ზიგფრიდ-კარლ ელერტის „ჩაკონა” სოლო ფლეიტისათვის ეტიუდი #30 Op.107**, სადაც ასევე ტენუტო-ს მომენტებში შედარებით იოლია ამ ტიპის სუნთქვის გამოყენება საკმაოდ რთული პასაჟების შესრულების დროს (მაგ.:#4).

ბახის ტრიო სონატაში G-dur BWV 1039 ფლეიტის, ვიოლინოს, ჩელოსა და ჩემბალოსათვის შეინიშნება კომპოზიტორის სავიოლინო მუსიკისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები. ვრცელი მუსიკალური ფრაზები მის სავიოლონო სონატებში „ერთ ხემზე” მელოდიის აჟღერებასთან იწვევენ ასოციაციას, რაც ბგერის განსაკუთრებულ „დენადობას” მოითხოვს. ცირკულარული სუნთქვის გამოყენება ამ შემთხვევაში ხმოვანებას ახალი დინამიკური ნიუანსებით ამდიდრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ეს ნაწარმოები ორი ფლეიტისტი, ფაგოტისტი და ჩემბალოზე შემსრულებლის მიერ სრულდება. აქაც ცირკულარული სუნთქვა ფლეიტისტების

პარტიაში ბგერის მრავალფეროვანი ტემბრული „შეფერადების“ საშუალებას იძლევა (მაგ.:#5). მეორე ტიპის ცირკულარული სუნთქვა ორმაგი და სამმაგი ბგერების აღების დროსაც გამოიყენება. მაგალითად კლაუს ჰუბერის პიესაში „Ein Hauch von Unzeit“ (მაგ.:#6) ამ შემთხვევაში ნიკაპი იწვევს ქვემოთ და ზედა ტუჩი თალივით ეშვება ქვედა ტუჩზე. ჰაერის ნაკადი ფართოდ ეცემა ამბუშურზე, რაც ტუჩების ჭრილის გაფართოებას მოითხოვს (განსაკუთრებით ხარისხიანი ბგერები, თანაც ლეგატო-ზე **Sankyo** -ს ფირმის ფლეიტებზე მიიღება).

პერმანენტული სუნთქვის გამოყენებით ბევრად მომგებიანად ჟღერს **კაზელას „სიცილიანა და ბურლესკა“** ფლეიტისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში მესამე ოქტავის გაბმულ **b** -ბგერაზე ჰაერის ცირკულაცია შეუძლებელია, რადგან ნიკაპი ოდნავ წინ არის გაწეული და ზედა ტუჩი არ ებჯინება კბილებს. ამიტომ ჰაერის მომარაგება წინასწარი აღებით უნდა მოხდეს. ამ ნაწარმოებში ცირკულარული სუნთქვა ტრელის აჟღერების დროს ბუნებრივად ლოყების შეკუმშვასა და, შესაბამისად, მათ არეს ჰაერისაგან განთავისუფლებას იწვევს. ამგვარად ნაწარმოებში ცირკულარული სუნთქვის აღება საკმაოდ იოლია გრძელი ტრელის დროს *Crescendo* -ზე, აგრეთვე აქცენტირებული ბგერების წინ (*sforzando*). აქვე დავაზუსტოთ, რომ შედარებით რთულია ცირკულარული სუნთქვის გამოყენება *mp* -ზე, ან *p* -ზე, რადგან ჰაერის შეცვლის მომენტში დაბალ დინამიკაზე ენის ბიძგები უფრო შესამჩნევია. გაცილებით უფრო იოლია პერმანენტული სუნთქვის აღება დაღმავალი მელოდური მოძრაობის დროს. ამ შემთხვევაში ჰაერის მოცულობა ლოყების ზედა ნაწილიდან ქვემოთ გადმოინაცვლებს.

ჟაკ ვილდბერგერის „რეტროსპექტივაში“ („Retrospektiva“) სოლო ფლეიტისათვის ცირკულარული სუნთქვის გამოყენება დიდი მოცულობის ფრაზაზე *frullato* -ზე შეუძლებელია (*frullato* -ზე ენის სპეციფიკური მოძრაობის გამო). მაგრამ აქაც შესაძლებელია გამოსავლის პოვნა. პირველ ნაწილში მესამე ოქტავის *gis* ბგერა ჯერ ფრულატოზე აიღება და შემდეგ კომპოზიტორის მითითებით ჩვეულებრივად (რემარკა „norm.“). სწორედ ამ მომენტში შესაძლებელია ხანმოკლე ცირკულარული სუნთქვის ჩართვა.

სიმფონიურ პარტიტურებში ფლეიტის პარტიის შესრულება უაღრესად რთულია ჩვეული სუნთქვის გამოყენების დროს. ასე **გია ყანჩელის სიმფონიაში #7 „ეპილოგი“** ფლეიტის ხმა *ffff* -ზე უნდა გაჟღერდეს და გამოიკვეთოს საერთო საორკესტრო ხმოვანებაში. პერმანენტული სუნთქვის აღება მოხერხებულია მეორე ოქტავის **b** -ბგერიდან (მაგ.:#7). ამიტომ ამ ბგერაზე შემსრულებელმა რამდენიმეჯერ უნდა ჩაისუნთქოს ჰაერი ცხვირით, რათა დიაფრაგმაში დაგროვილი ჰაერის მოცულობა საკმარისი აღმოჩნდეს მესამე ოქტავის **b** -ბგერის ასაღებად. ესოდენ ხანგრძლივი ბგერების აჟღერება ვიბრაციის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.

მესამე ტიპის ცირკულარული სუნთქვის (ლოყების მინიმალური გამობერვა) გამოყენება მშტვენავი ბგერების აღების დროს არის მიზანშეწონილი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამბუშურის, ნიკაპის, ტუჩების პოზიციებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის მდგომარეობა, რადგან მას ამ ტიპის ცირკულარული სუნთქვის დროს განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში საკმარისია ჰაერის მცირე ნაკადი, შესაბამისად მშტვენავი ბგერების აღება შედარებით იოლია. სწორედ ამიტომ ლოყების გამობერვის გარეშეც შესაძლებელია დგუშის მსგავსად ენით ვაკუუმის შექმნა, ჰაერის გამონთავისუფლება და ამის პარალელურად ცხვირით ჩასუნთქვა. ამ ბგერების გაჟღერება უფრო ბუნებრივია „*p*“-ზე. მშტვენავი ბგერების გადაბერვის პროცესში ტუჩის ჭრილი ვიწროვდება, ხოლო ჰაერის ნაკადის წნევა მატულობს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. უუგენე ბოცას „აგრესტიდაში“ პირველი ოქტავის რე ბგერის დროს ლოყები უმნიშვნელოდ დაიბერება და მომდევნო პასაჟი შესრულება *crescendo*-ზე. ბოლო ოცდამეთორმეტედ გ ბგერაზე შესაძლებელია ცხვირით ჰაერის სწრაფი ჩასუნთქვა, რაც მომდევნო სეპტოლზე (ppp) ექოს ეფექტის შექმნას შეუწყობს ხელს (მაგ.:#8).

მშტვენავი ბგერების აღებისას ცირკულარული სუნთქვის გამოყენება მიზანშეწონილია კონრად ლეჩნერი „სამი პიესა“ I ნაწილი სოლო ფლეიტისათვის. მეორე მინიატურაში ამის გაკეთება იოლია ამბუშურის ოდნავი დატრიალებით ქვემოდან ზემოდ მესამე ოქტავის d ბგერაზე ტრემოლოს დროს და ფერმატოზე (მაგ.:#9).

III ტიპის ცირკულარული სუნთქვის აღება ჩქარი პასაჟების დროსაც არის შესაძლებელი, ვინაიდან ენა ადვილად ანთავისუფლებს ლოყების არეს ჰაერისაგან. მაგალითის სახით მოვიყვანოთ რიმსკი - კორსაკოვი „კელას გაფრენა“ სოლო ფლეიტისათვის. მეშვიდე ტაქტში e ბგერაზე (p – ზე) დადმავალ მოძრაობაზე *Legato*-ზე ბგერების გადაბერვისას (flag.) ცირკულარული სუნთქვის აღება ენის ბიძგის მეშვეობით ლოყების არედან ჰაერის გამონთავისუფლების მომენტშია შესაძლებელი.

ედგარ ვარეზის „Density 21,5“ ფლეიტის სოლოსათვის, თითქოს და, ამ საკრავზე დაკვრის დროს სრულიად ახალი სუნთქვის წარმოჩენისათვის არის დაწერილი. იგი ბგერის მოცულობითი პარამეტრების ცვალებადობით და სპექტრული ხმოვანების ეფექტებით არის აღსავსე. დრო და დრო ავტორის რემარკის დასარტყამი საკრავის ხმოვანების ეფექტის მისაღწევად ფლეიტის სარქველებზე დარტყმითი მოძრაობები ხორციელდება. სწორედ ბგერის ტემბრის შეცვლის და ფრაზის გაფართოების მიზნით შესაძლებელია ნაწარმოებში ცირკულარული სუნთქვის ამოქმედება.

ყოველივე ზემოდთქმულის გათვალისწინებით ნათელია, რომ ცირკულარული სუნთქვის სწავლებისადმი სისტემური მიდგომა არის საჭირო. ვგულისხმობთ როგორც ლოყების, ტუჩებისა და ენის სპეციფიკური პოზიციის შემუშავებაზე მიმართულ სავარჯიშოებს ინსტრუმენტის გარეშე, ასევე სხვადასხვა სახის ფლეიტაზე შესასრულებელ სავარჯიშოებს. გთავაზობთ ცირკულარული სუნთქვის ელემენტარული ჩვევების გამომუშავებაზე მიმართულ რამდენიმე მარტივ, მაგრამ ძალზედ სასარგებლო სავარჯიშოს.

სავარჯიშო 1.

ჰაერის მოცულობით ლოყების შევსება (ორივე ლოყის სიმეტრიული გამობერვა) და ლოყებს შორის ჰაერის მოცულობის გადავანაცვლება.

სავარჯიშო 2.

დაშვებული ყბის პოზიციაში (ამ პოზიციას ნიკაბთან ხელის დადებით ვაფიქსირებთ) ცხვირიდან ჩასუნთვა და პირიდან ამოსუნთქვას ტუჩების მომრგვალებულ, ასო „ო“-ს პოზიციაში.

სავარჯიშო 3.

ყოველდღიური მოკუმული პირით თხუთმეტ წამიანი ჰაერის შეკავება დიაფრაგმაში და ცხვირით სუნთქვა.

სავარჯიშო 4.

მაქსიმალური სისწრაფით შემდეგი მარცვლების წარმოთქმა : „ტუ-ტუ-ტუ“ (ან „დუ-დუ-დუ“) და „ქუ-ქუ-ქუ“. პირველ შემთხვევაში ენის შუა ნაწილი ეხება სასას, ხოლო მეორეში – ენის ფუძე დაშვებულია, რის გამოც ხორხის კედელზე მეტი დაწოლა ხორციელდება.

სავარჯიშო 5.

ცხვირით სუნთქვა და სასაზე მიბჯენილი ენის მდგომარეობაზე ყურადღების მიქცევა.

სავარჯიშო 6.

პირით სუნთქვა და პირის ღრუში მოთავსებული ენის მდგომარეობაზე ყურადღების მიქცევა.

სავარჯიშო 7.

ცხვირით სუნთქვა დამრგვალებული ლოყების პოზიციაში და ენის მდგომარეობის გაკონტროლება (ცხვირით სუნთქვისას ლოყების გაბერვის დროს ენის ნაწილი სასისკენ მისწრაფის და პირის ღრუს სივრცეს შუაზე ჰყოფს).

სავარჯიშო 8.

ჰაერის მარაგით ლოყების ორივე მხარის შევსება და შემდეგ ჰაერისაგან მათი განთავისუფლება დიაფრაგმის მცირე ვიბრაციის თანდართვით.

სავარჯიშო 9.

ლოყების გამობერვის შემდეგ თვლაზე „ერთი, ორი, სამი“ ლოყებზე თითების დაწოლით ჰაერის ნელ-ნელა გამოშვება და წარმოთქმა: „პუპ-პუპ-პუპ“. მესამე მარცვალზე ცხვირით ჰაერის ნაკადის სწრაფი და მოკლე შესუნთქვა. პირველ და მეორე მარცვალზე ენა არ ეხება სასას, ხოლო ჩასუნთქვის მომენტში სწრაფად ებჯინება სასას და შემდეგ ასევე ჩქარა შორდება მას. თუ სავარჯიშო სწორად კეთდება ფლეიტაზე ჯერ ბგერის ბიძგები, ან ბგერის თანმხლები ობერტონები აჟღერდებიან. შედარებით ადვილია ჰაერის ცირკულაცია ფლეიტის შუალედურ რეგისტრებში, რადგან ამ შემთხვევაში ჰაერის საკმაოდ დიდი წინაღობას იქმნება.

სავარჯიშო 10.

ლოყების არედან ჰაერის გამობერვა (დიაფრაგმის მონაწილეობის გარეშე).

სავარჯიშო 11.

ლოყების არედან ჰაერის გამობერვა მხოლოდ ენის ბიძგის მეშვეობით.

სავარჯიშო 12.

ყოველი ბგერის შემდეგ მოკლე შესვენებებით ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა.

სავარჯიშო 13.

მშტვენავ ბგერაზე ჰაერის წნევისა და მიმართულების დარეგულირება. ფლეიტაზე დაკვრის დროს შევბეროთ 18 სანტიმეტრით დაშორებულ ანთებულ სანთელს ისე, რომ იგი არ ჩაქრეს. ხოლო მისი ალი ნელა გადაიწიოს წინ. 10 წამის მანძილზე ვეცადოთ ალის ერთი მდგომარეობის შენარჩუნება.

სავარჯიშო 14.

ლოყებში დაგუბებული ჰაერის ნაკადის ინსტრუმენტის ამბუშურში ჩაბერვა დიაფრაგმისა და ენის იერიშის მონაწილეობის გარეშე. რაც უფრო დიდია ლოყებში განთავსებული ჰაერის მოცულობა, მით უფრო დიდ ხანს ვუნდებით მისგან განთავისუფლებას და, შესაბამისად, ცხვირით ჰაერის შესუნთქვისათვის მეტი დრო გვრჩება. ლოყების გაბერვისა და „ჰაერის გაშვების“ შემთხვევაში ზედა ტუჩი ჰაერის „დაჭერის“ მიზნით ზედა კბილებს უნდა მიეხებოდეს. ქვედა ტუჩი შედარებით გაფართოებული და თავისუფალია. ამ ვარჯიშის დროს ტუჩების კუნთოვანი ნაწილი გვერძზე გაიწევეს და წინა კბილებს მიეხებინება. შემსრულებლისათვის ჰაერის ცირკულირების დროს ეს ძირითადი დასაყრდენი ფაზაა. ჰაერის გამონთავისუფლება პირის ღრუდან ადვილდება ლოყების კარგად განვითარებული კუნთების წყალობით.

სავარჯიშო 15.

მოკლედ და სწრაფად ჰაერის შესუნთქვა ცხვირით და შემდგომი ძლიერი ენის ბიძგის მოქმედებით ლოყების არეში მოქცეული ჰაერის გამონთავისუფლება. სავარჯიშო

სტაკატოზე უნდა შესრულდეს, რადგან აქ მთავარია ენის სისწრაფის გამოუმუშავება (იგი უნდა მოქმედებდეს როგორც მანქანის დგუმი). ყოველი მერვედების და ტრიოლის შემდეგ სუნთქვა ჩვეულებრივად აიღება.

სავარჯიშო 16.

მეორე ოქტავის ბგერების (g-h-d) ხმამაღალი აქლერება და ერთდროულად ლოყების გამობერვისას ენით სასის შეხება.

სავარჯიშო 17.

G- dur გამის შესრულება legato-ზე ყველა ბგერა მეოთხედი გრძლიობით, ყოველ მეორე და მესამე მეოთხედზე ლოყების დაბერვა, ხოლო მეოთხე მეოთხედზე ცხვირით ჰაერის შესუნთქვა. შემდეგ ანალოგიურ სავარჯიშოს შესრულება მერვედებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Robert Dick, Circular breathing for the flutist. New York, (1987)
2. Н.П. Вербова, О.М. Головина, В.В. Урнова. Искусство речи. М., 1977.
3. Л.И. Беякова, Е.А. Дьякова. Заикание. Учебное пособие для студентов педагогических институтов по специальности "Логопедия" - М., 1998.
4. ნ. ვ. ბოკუჩავა, ვოკალური ხელოვნების საკითხისათვის "ტექნიკა და შრომა" თბილისი 1949.
5. Н. Платонов. Методика обучения игре на флейте Выпуск издательство Музыка – Москва 1966 ст. 11-69.
6. ბ. დიკოვი, ჩასაბერ საკრავებზე დაკვრის სწავლების მეთოდისათვის თავი III "საშემსრულებლო სუნთქვა" გამომცემლობა "განათლება" თბილისი 1986 გვ.11-52
7. Fischer J. Vom Traum der Unendlichkeit oder Versuch einer Anleitung zur Zirkularatmung für Blockflötisten. Tibia 1993; Helt I S.346-351.

Article received: 2010-11-01

სანოტო დანართი

მაგ.: #1 ჰაინც ჰოლიგერი „ლირიკული სიმღერა“ ფლეიტის, ალტფლეიტისა (ან ბასფლეიტისათვის)

The image shows a musical score for circular breathing exercises on the flute. It consists of three systems of staves. The first system includes a bass staff with notes and a treble staff with notes and a wavy line representing breath pressure. Annotations include: "(möglichst reiner Ton)", "(auf #♯ bleiben)", "anfangs sehr ruhige Bewegungen", "lunga", "(möglichst bruchloser Übergang zu Anzatz)", "Mundstück anfangs nur wenig anpressen", "Lippen entspannt", and "ppp". The second system features a treble staff with notes and a wavy line, with annotations: "poco a poco più agitato e cresc.", "(Dynamik sehr unruhig)", and "Immer Zirkularatmung; Durch Nase atmen-gleichzeitig Luft aus der Mundhöhle pressen (ohne Tonunterbruch)". The third system shows a treble staff with notes and a wavy line, with annotations: "cresc. sempre", "(frei alternieren)", and "(Fingerbewegungen und Veränderung des Luft-und Lippendrucks völlig unabhängig voneinander)".

მაგ.: #2 ზაზა მენტეშაშვილი კონცერტი #2 ფლეიტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (II ნ.)

Flute 1 solo
Cresc. Cantabile
Flute 2
5
mf mp

მაგ.: #3 სალვატორე სკრიარინო პიესა „ისმის, შორიდან მსუბუქი სიო“ სოლო ფლეიტისათვის

f p sf ppp

მაგ.: #4 ზიგფრიდ-კარგ ელერტი „ჩაკონა“ სოლო ფლეიტისათვის #30 Op.107

Var. X.
ten. f p 6 8 9 10

მაგ.: #5 ბახის ტრიო სონატა G-dur BWV 1039 ფლეიტის, ვიოლინოს, ჩელოსა და ჩემბალოსათვის

Adagio.

მაგ.: #6 კლაუს ჰუბერი „Ein Hauch von Unzeit” სოლო ფლეიტისათვის

მაგ.: #7 გაი ყანჩელი სიმფონია #7 „ეპილოგი”

მაგ.: #8 ეუგენე ბოცა „აგრესტიდა” ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის

მაგ.: #9 კონრად ლეჩნერი „სამი პიესა” I ნაწილი სოლო ფლეიტისათვის